

სასაჩუქრე ბარათის ზოგადი პირობები

1. ტერმინთა განმარტება

- 1.1. ბანკი - სს „თიბისი ბანკი“ (ს/ნ 204854595).
- 1.2. სავაჭრო ცენტრი - შპს CBD Development-ის (ს/კ: 404382921) მართვის ქვეშე მყოფი სავაჭრო და გასართობი ცენტრი „ისთ ფონთი“
- 1.3. სასაჩუქრე ბარათი - ბანკის მიერ ემიტირებული არაპერსონიფიცირებული წინასწარი გადახდის ბარათი, რომელიც წარმოადგენს ბანკის საკუთრებას.
- 1.4. კლიენტი/მომხმარებელი - ფიზიკური პირი, რომელიც სავაჭრო ცენტრში შეიძენს სასაჩუქრე ბარათს პირადი სარგებლობისათვის ან სხვა ფიზიკურ პირზე სარგებლობაში გადასაცემად.
- 1.5. პირობები - წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული სასაჩუქრე ბარათის (სასაჩუქრე ბარათით სარგებლობის) ზოგადი პირობები.
- 1.6. თანხის პირველი ჩარიცხვა - სასაჩუქრე ბარათზე 50 (ორმოცდაათი)-დან 1,000 (ერთი ათასი) ლარის ფარგლებში თანხის პირველადი ჩარიცხვა.

2. სასაჩუქრე ბარათით სარგებლობის ზოგადი პირობები

- 2.1. სასაჩუქრე ბარათის მოქმედების ვადა: 2 (ორი) წელი.
- 2.2. სასაჩუქრე ბარათით სარგებლობის ვადა/პერიოდი: თანხის პირველი ჩარიცხვიდან 6 (ექვსი) თვე.
- 2.3. სასაჩუქრე ბარათი უქმდება: თანხის ჩარიცხვიდან 6 (ექვსი) თვიანი სარგებლობის ვადის გასვლის შემდეგ, ან 2 (ორი) წლიანი მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში. ასევე, თანხის განაღდებას შემდგომ.
- 2.4. 50 (ორმოცდაათი)-დან 1,000 (ერთი ათასი) ლარის ფარგლებში, სასაჩუქრე ბარათზე თანხის ჩარიცხვა შესაძლებელია ერთიანად ან ნაწილ-ნაწილ.
- 2.5. სასაჩუქრე ბარათზე ნაღდი თანხის ჩარიცხვა შესაძლებელია თიბისი ფეის სწრაფი გადახდის (თვითმომსახურების) ტერმინალების საშუალებით. თიბისი ფეის ტერმინალიდან დაიბეჭდება სასაჩუქრე ბარათზე თანხის ჩარიცხვის ქვითარი.
- 2.6. სავაჭრო ცენტრში შეძენილ ბარათზე თანხის პირველი ჩარიცხვა უნდა მოხდეს სავაჭრო ცენტრის ტერიტორიაზე ბარათის შეძენის დროს.
- 2.7. იმ შემთხვევაში, თუ სავაჭრო ცენტრი შეძენს სასაჩუქრე ბარათს გადასცემს 2.6. პუნქტის დარღვევით და ბარათის შეძენი ვერ შეძლებს სასაჩუქრე ბარათზე თანხის პირველ ჩარიცხვას, ან თუ შეძენის მიერ სასაჩუქრე ბარათზე თანხის პირველი შეტანა ვერ განხორციელდა სასაჩუქრე ბარათის ხარვეზის გამო, სავაჭრო ცენტრი ვალდებულია, უსასყიდლოდ გადასცეს შეძენს ახალი სასაჩუქრე ბარათი.
- 2.8. ერთ სასაჩუქრე ბარათზე ჩარიცხული თანხის ოდენობა ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს 1,000 (ერთი ათასი) ლარს.
- 2.9. სასაჩუქრე ბარათით სარგებლობის პერიოდში, სასაჩუქრე ბარათზე არსებული ნაშთის ფარგლებში თანხის გამოყენება შესაძლებელია სრულად ან ნაწილ-ნაწილ.
- 2.10. სასაჩუქრე ბარათის გამოყენება შესაძლებელია სავაჭრო ცენტრში საქონლის ან/და მომსახურების შესაძენად, ბანკის პოს ტერმინალის საშუალებით.
- 2.11. 45 ლარზე მეტი ოდენობის საქონლის/მომსახურების შეძენისას პოს ტერმინალზე აუცილებელია ბარათის პინ კოდის შეყვანა.
- 2.12. შესაძლებელია სასაჩუქრე ბარათის:
 - 2.12.1. პინ კოდის შეცვლა;
 - 2.12.2. ბალანსის შემოწმება;
 - 2.12.3. ამონაწერის მიღება.

- 2.13. ოპერაციები, რომლებიც შესაძლებელია განხორციელდეს სასაჩუქრე ბარათით:
 - 2.13.1. თანხის ჩარიცხვა;
 - 2.13.2. სავაჭრო ცენტრში საქონლის ან/და მომსახურების შეძენა;
 - 2.13.3. ნაშთის შემოწმება.
- 2.14. დაუშვებელია სასაჩუქრე ბარათით:
 - 2.14.1. ნაღდი ფულის გაცემა სასაჩუქრე ბარათით სარგებლობის პერიოდში;
 - 2.14.2. ინტერნეტში გადახდების განხორციელება;
 - 2.14.3. თანხის გადატანა ელექტრონულ საფულეში;
 - 2.14.4. აზარტულ თამაშ(ებ)ში მონაწილეობა;
 - 2.14.5. თანხის ჩარიცხვა იმ ოდენობით, რომ სასაჩუქრე ბარათზე უკვე განხორციელებული ჩარიცხვ(ებ)ის თანხასთან ერთად მათი ჯამური ოდენობა აჭარბებდეს 1,000 (ათასი) ლარს;
 - 2.14.6. თანხის გადარიცხვა, თუ ეს არ არის დაკავშირებული საქონლის ან/და მომსახურების სასაჩუქრე ბარათით შეძენის ოპერაციასთან სავაჭრო ცენტრში;
 - 2.14.7. სასაჩუქრე ბარათის გამოყენება საქართველოს ფარგლებს გარეთ;
 - 2.14.8. სხვა ოპერაციების განხორციელება, რომელიც ეწინააღმდეგება წინამდებარე პირობებს და/ან ბანკის პოლიტიკას და/ან აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 2.15. სასაჩუქრე ბარათზე ჩარიცხული თანხის გამოყენება შესაძლებელია სასაჩუქრე ბარათით სარგებლობის ვადის/პერიოდის გასვლამდე.
- 2.16. სასაჩუქრე ბარათით სარგებლობის ვადის/პერიოდის გასვლის შემდეგ სასაჩუქრე ბარათზე რიცხული გაუხარჯავი თანხიდან ბანკი ჩამოჭრის სასაჩუქრე ბარათის მომსახურების ყოველთვიურ საკომისიოს. საკომისიოს ოდენობის განსაზღვრა (დადგენა) მოხდება ბანკის მიერ ცალმხრივად, კლიენტთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე. ხსენებული საკომისიო ყოველი თვის პირველ რიცხვში ჩამოიჭრება სასაჩუქრე ბარათიდან მასზე არსებული ნაშთის სრულ ამოწურვამდე ან ბარათიდან თანხის განაღდებას მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე.
- 2.17. სასაჩუქრე ბარათით სარგებლობის ვადის/პერიოდის გასვლის შემდეგ სასაჩუქრე ბარათის მფლობელის მიერ ბანკისათვის სასაჩუქრე ბარათის წარდგენის და მასზე არსებული გაუხარჯავი თანხის განაღდებას მოთხოვნის დაფიქსირებისას, მისი (სასაჩუქრე ბარათის მფლობელის) მოთხოვნის დაკმაყოფილება/თანხის განაღდება განხორციელდება ბანკის მიერ დაწესებული განაღდებას საკომისიოს გამოკლებით. ამასთან, განაღდებას საკომისიოს ოდენობა განისაზღვრება თანხის განაღდებას დღისათვის ბარათიდან თანხის განაღდებასთვის ბანკში მოქმედი სტანდარტული ტარიფის შესაბამისად. თანხის გაცემის წინ, მოხდება პირის იდენტიფიცირება სტანდარტული წესით და შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმება. თანხის სრულად განაღდებას შემდეგ ბარათი ანულირდება.
- 2.18. თუ კლიენტი/მომხმარებელი სასაჩუქრე ბარათს გადასცემს სხვა ფიზიკურ პირს, სასაჩუქრე ბარათის ახალი მფლობელი ვალდებულია სრულად გაეცნოს სასაჩუქრე ბარათით სარგებლობის პირობებს.
- 2.19. სასაჩუქრე ბარათი, დაკარგვის შემთხვევაში, არ ექვემდებარება აღდგენას.
- 2.20. ბანკი არ არის პასუხისმგებელი:
 - 2.20.1. სასაჩუქრე ბარათის დაკარგვის/დაზიანების ან/და არაუფლებამოსილი პირის მიერ მისი გამოყენების შედეგებზე.
 - 2.20.2. კლიენტს/მომხმარებელსა და სავაჭრო ცენტრს შორის ნებისმიერი მიზეზით წარმოშობილ დავაზე.
 - 2.20.3. დაგვიანებულ ან შეუსრულებელ ოპერაციებზე, რომლებიც გამოწვეულია საგადაამხდელო სისტემის ან ტექნიკური მიზეზების გამო.
- 2.21. პირობები ძალაში შედის კლიენტის მიერ სასაჩუქრე ბარათის მიღებისთანავე.

- 2.22.სასაჩუქრე ბარათით სარგებლობის დეტალური პირობები/წესები (ბარათით სარგებლობის წესები და პირობები) განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე www.tbcbank.ge.
- 2.23.სავაჭრო ცენტრის ტერიტორიაზე განთავსებული სავაჭრო ობიექტების ჩამონათვალში ცვლილების შესახებ კლიენტს/მომხმარებელს ეცნობება სავაჭრო ცენტრის ვებ-გვერდის საშუალებით.